სამეგრელოს რეგიონში 289 საკრებულოს ნევრიდან 54 ქალი გახლავთ

გვ. 2

ფოთის საკრებულოს ახალი შემადგენლობა თვრამეტი, შვიდის წინააღმდეგ

გვ. 2

მთავარი თემა სამეგრელოში

ფასი 50 თეთრი №28 30 ოქტომბერი - 6 ნოემბერი 2017 წელი\ გამოდის სამშაბათობით

,,მთავარი თემა სამეგრელოში,, მედიამონიტორინგის შედეგად ობიექტურ და მიუკერძოებელ გაზეთად დასახელდა

რეგიონული გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიაში გაშუქების მედიამონიტორინგის შედეგად ობიექტურ და მიუკერძოებელ გაზეთად დასახელდა. გთავაზობთ უცვლელად მონიტორინგის დასკვნას:

„მონიტორინგის პერიოდში გაზეთში „მთავარი თემა სამეგრელოში“ არ შეინიშნებოდა დადებით ან უარყოფით განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. გამოცემაში ძირითადად რეგიონში მიმდინარე მოვლენები შუქდებოდა.

ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა. 10 გაზეთში „მთავარი თემა სამეგრელოში“ ყველაზე აქტიურად ადგილობრივი მთავრობისა (40%) და „ქართული ოცნების“ (36%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთს აქტიურად არ გაუშუქებია ფოთის მერობის კანდიდატთა საარჩევნო პროგრამები. გაზეთში აქტიუ-

დასასრული 2-გვ.

ფოთში ოპოზიციური პარტიები არჩევნების ტოტალურ გაყალბებაზე საუბრობენ

გვ. 3

ურთიერთ ბრალდებები ხობის პოლიტიკურ პარტიებში

გვ. 3

ყოფილი მერები - ფოთელების შეფასებები

გვ. 4

შენ ჯერ ეგ არ გინახავს?



აქ გვიპოვი ჩვენ

www.msnews.ge

კაცაძის ქუჩაზე მცხოვრები ორი ოჯახი დახმარებას ითხოვს

გვ. 5

ზამთრის სამზადისი ბაღებში

გვ. 4

,,ჩხორროწყუობა 2017,,

გვ. 7

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია - 599 341 417;
ინგაგვასალია
რედაქტორი
ივეტა პაჭკორია - 597 97 76 18

კორექტორი:
მაია ჩხეიძე 551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია - 579 24 11 22

თეკლა მატკავა (ფოთი) 568 74 41 12

ივეტა პაჭკორია (ხობი) 568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ერთი ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.5311 ლარი გახდა. ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. ხვალიდან, ერთი დოლარის ოფიციალური

ფასი 2.5311 ლარი გახდება. კურსი, რომელიც დღეს მოქმედებდა, 2.5078 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0233 ლარი შეადგინა.
ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა. კერძოდ, ხვალიდან ერთი ევროს შეძენა 2.6825 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა დღეს მოქმედი კურსი 2.6670 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0155 ლარი შეადგინა.

სამეგრელოს რეგიონში 289 საკრებულოს წევრიდან 54 ქალი გახლავთ

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით, სამეგრელოს რეგიონის 7 მუნიციპალიტეტში საკრებულოს წევრი 235 მამაკაცი და 34 ქალი დაახლოებით 10 დღეში მუშაობას შეუდგება. როგორც საოლქო-საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა განგვიცხადეს ყველაზე მეტი ქალი სენაკისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეყოლება. ყველაზე ნაკლები კი აბაშის საკრებულოშია. კანდიდატების უმეტესობა პროპორციული სისტემით შევიდა. ფოთის განახლებულ საკრებულოს 25 წევრიდან 4 ქალი წევრი ეყოლება; ზუგდიდის საკრებულოში 50 წევრიდან 7 ქალია; წალენჯიხის საკრებულოში 30 წევრიდან 8 ქალია; ხობის საკრებულოში 37 წევრიდან 4 ქალია; სენაკის საკრებულოში 33 წევრიდან 8 ქალია; აბაშის საკრებულოს 32 წევრიდან 1 ქალია და ჩხოროწყუს საკრებულოში 28 წევრიდან 2 ქალი გახლავთ.

2017 წლის გენდერული სტატისტიკა სამეგრელოს მუნიციპალიტეტების მიხედვით

რეგიონი/ მუნიციპალიტეტი	2017 ქალების რაოდენობა	2014 ქალების რაოდენობა	სულ დეპუტატების რაოდენობა 2017	ქალ დეპუტატების რაოდენობა 2017		პროპორციული 2017	მაჟორიტარული 2017
				მაჟორიტარი	პროპორციული		
სამეგრელო	34	30	235	11	23	105	130
ფოთი	4	2	25		4	15	10
ზუგდიდი	7	7	50	4	3	15	35
წალენჯიხა	8	6	30	2	6	15	15
ხობი	4	4	37	2	2	15	22
სენაკი	8	6	33	3	5	15	18
აბაშა	1	3	32		1	15	17
ჩხოროწყუ	2	2	28		2	15	13

ფოთის საკრებულოს ახალი შემადგენლობა თვრამეტი, შვიდის წინააღმდეგ

ივეტა პაჭკორია
ფოთი

№ 70 საოლქო საარჩევნო კომისიის მონაცემებით, მანდატების უმრავლესობა მმართველი პარტიის კანდიდატებმა მოიპოვეს. საკრებულოს 25 წევრიდან 10 მაჟორიტარული და 8 პროპორციული მანდატი პარტია „ქართულ ოცნებას“ ერგო, აქედან 16 მამაკაცი და 2 ქალი გახლავთ.

ხოლო დანარჩენი 7 მანდატი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებმა გადაინაწილეს. როგორც № 70 საოლქო საარჩევნო კომისიაში განგვიმარტეს „პროპორციული სიით ფოთის საკრებულოში 15 მანდატიდან, 8 მანდატი „ქართულ ოცნებას“, 2 მანდატი „ნაციონალურ მოძრაობას“, 1 მანდატი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს , 1 მანდატი საარჩევნო ბლოკს „ბაქრაძე, უგულავა -ევროპული საქართველო“, 1 მანდატი „ლეიბორისტებს“, 1 მანდატი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“ და 1 მანდატი „შენების მოძრაობას“ ერგო.

ხოლო მერის სავარძელს ბიზნესმენი გოჩა კურდღელია, დიდი უპარიტასობით დაეფუძნა, მან ამომრჩეველთა ხმების 55,14 % მიიღო.

ოპოზიციური სპექტრის უარყოფითი შეფასებებისა და საოლქოსთან რამდენიმე აქციის მიუხედავად, №70 საარჩევნო ოლქის თავმჯდომარისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლების განმარტებით არჩევნები შედგა. ბათილად იქნა ცნობილი 3000-ამდე ბიულეტინი. რაც შეეხება საჩივრებს №70 საარჩევნო ოლქში მხოლოდ 12 საჩივარი შევიდა, საიდანაც მხოლოდ 5 დაკმაყოფილდა. სამი საჩივარი შეეხებოდა საკონტროლო ფურცელზე პირველი ამომრჩევლის რეგისტრაციის მისამართის გარეშე გატარებას. მეოთხე შემთხვევაში, კომისიის მდივანმა საშუალება არ მისცა კომისიის წევრს საჩივარი დაერეგისტრირებინა, მეხუთე საჩივარი ეხებოდა მარკირების გარეშე ამომრჩევლისათვის არჩევანის გაკეთების უფლებას. საჩივრის დაკმაყოფილება კი ნიშნავს დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოცხადებას, რაც შენიშვნის გამოცხადებით შემოიფარგლება. ერთი საჩივარი დარჩა განუხილველი ევროპული საქართველოს წარმომადგენლის გრიგოლ სტურუას განცხადება-საჩივარს, რომელიც №31 უბანზე სამაგიდო სიის გახსნას ეხებოდა, რათა ხელმომწერების სიზუსტე შემოწმებულიყო და ასევე გაურკვეველი წარმომადგენლობის ბიულეტინის შემოწმებას. საარჩევნო ოლქის წარმომაგდენლების განმარტებით აღნიშნული საჩივარი საინფორმაციო სახის იყო და შესაბამისად განუხილველად იქნა დატოვებული. ასევე წერილობითი პასუხი გაეცა გრიგოლ სტურუას იმ განცხადებას, სადაც მითითებული იყო რომ განცალკევებით № 31 უბანზე აღმოჩენილ 15 კონვერტს, №70 საარჩევნო ოლქის თავმჯდომარის მოადგილის მარიკა მოწერელიას განმარტებით, ფაქტი ადგილზე აღმოიფხვარა და გრიგოლ სტურუას ამ საჩივარზე წერილობითი პასუხი გაეცა.

ფაქტი, რომ უბანზე მოხდა დარღვევა, ყველა აღიარებს, თუმცა, სასაცილოა ის ფაქტი, რომ დარღვევის წინააღმდეგ მხოლოდ შენიშვნები მიეცათ ადრესატებს. ზემოთ აღნიშნული საკითხი „ევროპულმა საქართველომ“ სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.
მიუხედავად ყველაფრისა ფოთის საკრებულო მთელი მისი არსებობის მანძილზე ყველაზე მრავალპარტიული იქნება. წელს საკრებულოში 7 პარტია შევიდა. ასევე გაზრდილია საკრებულოს წევრების რაოდენობა და ის 25 წევრისგან შედგება, აქედან 10 მაჟორიტარი დეპუტატია და ათივე პარტია „ქართული ოცნების“ წევრია.

პროპორციული სიით ფოთის საკრებულოში შევიდნენ:

დასასრული 6-გვ.

„მთავარი თემა სამეგრელოში„ მედიამონიტორინგის შედეგად ობიექტურ და მიუკერძოებელ გაზეთად დასახელდა

დასაწყისი პირველი გვერდიდან

რად შუქდებოდა სოციალური საკითხები და რეგიონში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები.

აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევებში ჟურნალისტები ცდილობდნენ გაშუქებული საკითხის შესახებ მკითხველისთვის გაეცნოთ როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები (მაგალითად, სტატიაში „სენაკი არჩევნებიდან არჩევნებამდე“, 19-26 ივნისი, გვ. 3-4).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებს რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. გაზეთში დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები“.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია მედიამონიტორინგის შედეგები 19 ივნისიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები: არც ერთ რეგიონულ გამოცემაში არ გვხვდება ისეთი შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია,როგორიც გასული წლების მონიტორინგის პერიოდებში სისტემატურად გვხვდებოდა თბილისში გამოცემულ არაერთ გაზეთში; რეგიონული გამოცემების დიდი უმრავლესობა პოლიტიკურ ძალებს აშუქებს ობიექტურად და მიუკერძოებლად; რეგიონული გამოცემების დიდი უმრავლესობა აქტიურად აშუქებს რეგიონში არსებულ სოციალურ პრობლემებს და ცდილობს აღნიშნულ პრობლემებზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარების მოპოვებას; რეგიონული გამოცემების დიდი უმრავლესობა აქტიურად აშუქებს როგორც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წარმატებით განხორციელებულ 3 ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ასევე შეუსრულებელი სამუშაოების კრიტიკულ შეფასებებს; რეგიონულ გამოცემებში გვხვდება ინტერვიუები, სადაც ჟურნალისტები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ახსენებენ წინასაარჩევნო დაპირებებს და ეკითხებიან თუ რამდენად შესრულდა აღნიშნული დაპირებები; რეგიონულ გამოცემებში ხშირად გვხვდება ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება ცალკეულ სტატიებში. რეგიონში არსებული პრობლემების გაშუქებისას რესპონდენტებად ხშირად არიან წარმოდგენილნი როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა; რეგიონულ პრესაში არ შეინიშნება განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობები რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მიმართ; რეგიონული გამოცემების უმეტესობა თანაბარ ფართობს უთმობს სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა წინასაარჩევნო საქმიანობის გაშუქებას; მხოლოდ ორ რეგიონულ გამოცემაში („ბორჯომი“ და „სვანეთი“) შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი განწყობა ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების მიმართ; მონიტორინგისთვის შერჩეულ ყველა რეგიონულ გამოცემაში სათანადოდ იყო გამიჯნული სარეკლამო სტატიები სარედაქციო მასალებისგან; სარეკლამო მასალების არასათანადო მითითება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს გაზეთში „რეზონანსი“; დაუდასტურებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები გამოვლინდა გაზეთში „კვირის პალიტრა“; პრაქტიკულად ყველანაირი ჟურნალისტური სტანდარტისა და ეთიკის ნორმის დარღვევის შემთხვევები გვხვდება „ასავალ-დასავალის“ ყველა ნომერში.

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

ფოთში ოპოზიციური პარტიები არჩევნების ტოტალურ გაყალბებაზე საუბრობენ

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ფოთში საკმაოდ ემოციური არჩევნების შემდეგ პოლიტიკური პარტიების შეფასებები საკმაოდ მწვავეა. მართალია, წლევანდელი მოწვევის საკრებულო ყველაზე მრავალპარტიულია, მაგრამ ოპოზიციური პარტიები მაინც არჩევნების ტოტალურ გაყალბებაზე საუბრობს. „ნაციონალური მოძრაობის" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე დარეჯან ცხვიტარია საკმაოდ კატეგორიულია შეფასებაში: „არჩევნები ტოტალურად გაყალბდა ყველა უბანზე. გამოყენებული იყო ადმინისტრაციული რესურსი – თუ სადმე დაწესებულებაში მუშაობდა ადამიანი, კერძოში თუ საჯაროში, დამლაგებლიდან დაწყებული მაღალჩინოვნიკით დამთავრებული, ყველა იყო გამოყენებული. კოორდინატორები ყავდათ უხვად. ახდენდნენ აღრიცხვებს და რეგისტრატორს არ აძლევდნენ ნორმალურად მუშაობის საშუალებას. ყველა ტრანსპორტი იყო დაქირავებული, რათა სხვებს არდაგვექირავებინა. უბანში ბლუჯად ჩაყარეს ბიულეტენები. ხელის გადაგრეხვით და უსინდისოდ ჩატარებული არჩევნებია. შევარდნაძის დროსაც არ ჩატარებულა ასეთი არჩევნები. ამათმა ყველა წითელი ხაზი გადაკვეთეს. წინასაარჩევნო ფონიც ასეთი იყო, ემზადებოდნენ გაყალბებისთვის". ცხვიტარია ამბობს, რომ მის პარტიას საკმაო დიდი ადამიანური რესურსი გააჩნია, მაგრამ დაბალი დაფინანსების გამო მხარდამჭერების მობილიზება ვერ მოახერხა: „ყველამ კარგად იცის, მერამდენე ადგილზე ვიყავით დაფინანსებით. ყველაფერი კი ფინანსებთანაა დაკავშირებული. 20 ლარად იყიდეს ამომრჩეველთა ხმები. არასოდეს ყოფილა ერი ასეთი დაჩაჩანაკებული, როგორც ამ ხელისუფლების დროს გახდა". ცხვიტარია დანებებას არ აპირებს და როგორც ამბობს - ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობენ, სანამ ცოცხლები არიან".

2017 წლის თვითმმართველობის არჩევნები ყველაზე მძიმე "ქართული ოცნების" ყოფილი წევრის მაია ჩხარტიშვილისთვის აღმოჩნდა, რომელიც მერის სავარძლისთვის ახალი პარტიიდან „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" იბრძოდა. ახალპარტია გამოცვლილი ჩხარტიშვილი ყოფილ თანაგუნდელებს არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებს: „21 ოქტომბრის არჩევნებზე გაყალბების ყველა მეთოდი გამოიყენეს. ეს იყო თავს მოხვეული არჩევანი. გაყალბების ორი ეტაპი გაიმართა - არჩევნებამდე, რომელიც შეიცავდა მუქარას, ზემოქმედებას, დაშინებას. მაგალითად, წინა დღეებში შავი ჯიპებით დადიოდნენ სხვადასხვა რანგის მოხელეები და სოციალურად დაუცველებს დაურიგეს 200 ლარი, ოპერაციის გასაკეთებლად კი 300 და 400 ლარი. მეორე ეტაპი გახლდათ არჩევნების დღე, როდესაც არსებული და არარსებული მეთოდებიც კი გამოიყენეს არჩევნების გასაყალბებლად. მარკირების გარეშე თუ ყალბი პირადობებით მიცეს ხმები".

ჩხარტიშვილი დამკვირვებლებისა და წარმომადგენლების არაკვალიფიციურობაზეც მიუთითებს: „მართალია, ბევრი მსგავსი შემთხვევა აღკვეთეს დამკვირვებლებმა და წარმომადგენლებმა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ჩვენს დამკვირვებლებს და წარმომადგენლებს აკლიათ კვალიფიკაცია. ამდენად, უამრავ დარღვევაზე არ დაიწერა საჩივარი. მისცეს შენიშვნა თავმჯდომარესაც, მაგრამ არ იცოდნენ, რომ თუნდაც ერთ შენიშვნაზეც კი უნდა შეედგინათ სარჩელი. არაფერს ვამბობ 31-ე უბანზე, სადაც პირდაპირ უტიფრად ჩაყარეს ბიულეტენები. როგორც ახლა ვაანალიზებთ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები, ეს იყო პროვოკაცია, რათა ყველა ოპოზიციური სპექტრი იმ უბანზე შეგროვილიყო. პარალელურ რეჟიმში რამდენიმე უბანზე ჩაქრა შუქი და სავარაუდოდ, იქ დაუსვეს წერტილი გაყალბებას. უბნის გარე პერიმეტრზეც კი მოქმედებდა ყველასათვის ცნობილი სომხური კარუსელი. ეს მეთოდი უკვე აპრობირებულია, მაგრამ წინა არჩევნებთან შედარებით, ეს სამარშრუტო ტაქსები, რომლითაც ხდებოდა სომხური კარუსელის მონაწილე ადამიანების გადაადგილება, პირდაპირ შესასვლელთან იდგა, არანაირი დამალვა ან მიმალვა არ ხდებოდა. ამის ფოტო მასალაც არსებობს, მაგრამ საუბედუროდ, არჩევნების დღეს არ კონტროლდებოდა გარე პერიმეტრი, საიდანაც იწყება გაყალბება".

უკვე ისტორიის საკუთრებად ქცეულმა არჩევნებმა ფოთში ოპოზიციური პარტიების გაერთიანება მოახერხა. "ქართული ოცნებიდან" ახალგადმობარგებული ჩხარტიშვილი გუშინდელი თანაგუნდელების "რეალურ" სახეზეც ალაპარაკდა: "არა მარტო ოპოზიციური პარტიები გაერთიანდნენ, პოზიციის წარმომადგენლებმაც დაინახეს „ოცნების" რეალური სახე. დარწმუნებული ვარ, ყველამ არ იცოდა, რა ხდებოდა ამ არჩევნებზე. ასეთი გაყალბებით მოსული დეპუტატი რამდენად გამოადგება ქალაქს, დრო გვიჩვენებს.

ჩვენ, ოპოზიცია, ვაგრძელებთ ბრძოლას",

რაც შეეხება მოსაზრებას, თითქოს ოპოზიციური პარტიები ბოიკოტს უცხადებენ არჩევნებს და საკრებულოში არ შევლენ, ჩხარტიშვილმა უარყო: „მე, პირადად, არავითარ შემთხვევაში, ბოიკოტს არ გამოვაცხადებ იმიტომ, რომ პერსონალურად ჩემზე იყო პროვოკაციები, სიტყვიერი და მორალური შეურაცხობები. აპირებდნენ მოეპოვებინათ ჩემგან ან ჩემი ოჯახის წევრებიდან ისეთი კადრები, რომლის საშუალებითაც დამაშანტაჟებდნენ, რათა არ შევსულიყავი საკრებულოში. ეს ვერ მოახერხეს. მე მარტო მერობისთვის არ ვიბრძვი, მე იმ პრობლემებისათვის ვიბრძოდი, რომელიც ფოთში არსებობს და მე აუცილებლად ვაპირებ ბრძოლას საკრებულოს მანდატით და ამ პრობლემების მოგვარებას".

„შენების პარტიის" თავმჯდომარე და მომავალი საკრებულოს წევრი იაგო თავართქილაძეც მიიჩნევს, რომ არჩევნები გაყალბდა. თუმცა, უფრო მეტად ამომრჩევლებისგან დარჩა იმედგაცრუებული: „იყო გაყალბებები და მცდელობებიც, რომლებიც აღკვეთეს წარმომადგენლებმა. ჩართული იყო როგორც ადმინისტრაციული რესურსი, ასევე კერძო კომპანიები. მოსახლეობასთან შეხვედრებით ისეთი განწყობა გვქონდა, რომ მინიმუმ ორჯერ მეტი ხმა უნდა მიეღო პარტიას. ,შენების პარტია" ახლი პარტიაა და ვთვლი, რომ ნორმალური შედეგია, თუმცა მეტის მოლოდინი გვქონდა".

გაყალბებულსა და თავხედურს უწოდებს თვითმმართველობის არჩევნებს საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველოს" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ვახტანგ დარცმელიძე: „როგორ უნდა შევაფასო? ეს იყო გაყალბებული თავხედური არჩევნები. ჩვენ ბრძოლა ჯერ არ დაგვიმთავრებია".

რა ბრძოლაზე საუბრობენ ოპოზიციონერები და როგორ აპირებენ შედეგების გაუმჯობესებას, ამაზე არავის უსაუბრია. ჩვენც ნუ გავუსწრებთ წინ მოვლენებს, და დავაკვირდეთ, რამდენად ქმედითუნარიანი აღმოჩნდება ახალარჩეული საკრებულო და როგორ შეძლებს იგი ქალაქის მართვასა და უამრავი პრობლემების თავის გართმევას.

ურთიერთ ბრალდებები ხობის პოლიტიკურ პარტიებში

ივეტა პაჭკორია
ხობი

ხობში ახალ დაკომპლექტებული საკრებულოს 37 წევრიდან 15 პროპორციული სიის და 22 მაჟორიტარი კანდიდატი გახლავთ. საკრებულოში წელს 6 პარტიის წარმომადგენელი შევიდა, აქედან მხოლოდ ერთია ოპოზიციური პარტია - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი- საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან", პროპორციული სიიდან ნაციონალურმა პარტიამ 3 მანდატის აღება მოახერხა. „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველომ" 2 წევრი შეუშვა საკრებულოში, „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტთა კავშირს" და „შენების მოძრაობას" თითო მანდატი არგო ხობელმა ამომრჩეველმა. რაც შეეხება ქალთა ჩართულობას, საკმაოდ დაბალია, საკრებულოს 37 წევრიდან მხოლოდ 4 ქალი დეპუტატია.

არჩევნების შედეგებზე პარტიებს რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები აქვთ, პატრიოტთა ალიანსის თავმჯდომარეს ველოდი ლაგვილავას მიაჩნია, რომ არჩევნები მშვიდ და წყნარ გარემოში მიმდინარეობდა. ჩვენს კითხვაზე არჩევნების გაყალბებაზე და დარღვევაზე რა კომენტარს გააკეთებდა - ფრიად გაკვირვებული დარჩა; „არც ყოფილა და არც კი მომსვლია აზრად ასეთი რამ. არც ერთი საჩივარი არ დაწერილა. შედეგით არ ვარ კმაყოფილი, მაგრამ მომავალი არჩევნებისათვის მოვემზადებით". „პატრიოტთა ალიანსმა" ერთი მანდატი სოფელ პირველ ხორგაში მაჟორიტარი დეპუტატის კობა მიქაუტაძის გამარჯვებით მოიპოვა.

რადიკალურად განსხვავდება „ნაციონალური მოძრაობის" ხობის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ია ჯიშკარიანის შეფასება სხვა დანარჩენთაგან: „შეფასების უნარიც დავკარგე, იმდენად კატასტროფულ მდგომარეობაში მიმდინარეობდა არჩევნები. ეს არ იყო არჩევნები, არამედ ეს იყო სუსის, პოლიციის ზეწოლის ქვეშ მიღებული გადაწყვეტილება. საჩივრები დაიწერა, მაგრამ ეს უმნიშვნელო იყო. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ მუშაობდა პოლიცია არჩევნების წინა ღამეს, ჩემს სოფელში 4 საპატრულო მანქანა დადიოდა. ყველამ იცის, როგორ იყიდეს ხმები და დააშინა ამომრჩეველი მმართველმა პარტიამ. ეს არ იყო არჩევნები". „ნაციონალური მოძრაობა" საკრებულოში სამი წევრითაა წარმოდგენილი - ია ჯიშკარიანი, თემურ გულუა და ირაკლი ნადარაია.

კიდევ უფრო მწვავე და ბრალდებებით "გამაგრებული" შეფასება აქვს „ბაქრაძე, უგულავა- ევროპული საქართველოს" ხობის ორგანიზაციის თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძეს: „არჩევნები ყველა სახელმწიფო რესურსის გამოყენებით ჩატარდა, არათანაბარ პირობებში იყო ყველა პარტია. დარღვევის უამრავი ფაქტი არსებობს, ჩვენი კანდიდატის ცოლიდან დაწყებული, სკოლის მასწავლებლებით დამთავრებული, თუმცა არ უნდათ ხმამაღლა გამოხატონ პრეტენზიები, რადგან ყველას ეშინია სამსახურის დაკარგვის. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას გადავეცით ინფორმაციები". ჭოხონელიძის ასეთი კატეგორიულობის მიუხედავად, პარტიის კოორდინატორებს არც ერთი საჩივარი არ დაუწერიათ, რაზეც ჭოხონელიძე შემდეგ განმარტებას აკეთებს: „რა მნიშვნელობა აქვს საჩივრების დაწერას, როცა განმკითხავი ხელისუფლება არ არის.

აზრი აქვს რამის დაწერას? უნდა იჩივლო მასთან, ვინც აღღვევს. გაბათილდა ჩვენი ხმების უმრავლესობა, გონივრული ეჭვით და ვარაუდით, ეს იყო სახელისუფლებო პარტიასა და რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას შორის შემდგარი გარიგების შედეგი". რა გარიგებაზე გახლდათ საუბარი, ყველა და ყველაფერზე გაბრაზებულმა ჭოხონელიძემ გვითხრა: „ამას საზოგადოება კარგად ხედავს და გრძნობს. დაფიქსირებას არანაირი აზრი არ აქვს, არც პრესაა სამართლიანი და არც რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურა"

ხობის ახალარჩეული მერის გოჩა ქაჯაიას განმარტებით: „არჩევნები ჩატარდა დემოკრატიულ, მშვიდ გარემოში. ყველანაირი ექსცესების გარეშე".

ოპოზიციის ბრალდებას, თითქოს არჩევნები დარღვევით ჩატარდა, ქაჯაია კატეგორიულად არ ეთანხმება, მეტიც, მისთვის საინტერესო აღარ არის, რას ამბობს ოპოზიცია: „არ მაინტერესებს, რა შეფასებას აკეთებს ოპოზიცია, ვიცი, არჩევნები იყო სამართლიანი და ხალხმა „ქართულ ოცნებას" ნდობა კიდევ ერთხელ გამოუცხადა, რასაც გაამართლებს ჩემი პარტია".

ყოფილი მერები - ფოთელების შეფასებები

თეკლა მაჭკავა
ფოთი

ხშირად ისმის კითხვები - ვინ უნდა გახდეს ფოთის მერი და რა უნდა გააკეთოს მან. მედიაში, საზოგადოებასა და პოლიტიკაში ნაკლებად საუბრობენ იმაზე, რა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მერის თანამდებობას და როგორია მისი როლი საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

თანამედროვე ევროპულ საზოგადოებებში ქალაქის მერი განიხილება არა როგორც მენეჯერი, არამედ როგორც პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც გააჩნია გარკვეული ხედვა, ფილოსოფია და სტრატეგია ქალაქის განვითარებისთვის. ამასთანავე, მერის, როგორც ქალაქის მმართველის, ლეგიტიმაცია და პოლიტიკური გავლენები იმდენად დიდია, რომ ხშირად ისინი მწვავე დაპირისპირებაში მოდიან ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

თუმცა, ცხადია მერის ასეთ მაღალ მდგომარეობას და პოლიტიკურ გავლენებს განაპირობებს ადგილობრივი დემოკრატიის მაღალი დონე დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოებში, სადაც მერი უპირველეს ყოვლისა საკუთარი ამომრჩევლების წინაშე უფროა ანგარიშვალდებული, ვიდრე ცენტრალური აპარატისადმი.

დღევანდელ რეალობაში, მერი ლოიალურია საკუთარი პარტიის მიმართ და არა საკუთარი ამომრჩევლების მიმართ. ცხადია, საკუთარი პარტიის მიმართ ერთგულება უნდა განვიხილოთ როგორც პოლიტიკური პროცესის შემადგენელი ნაწილი. ბუნებრივია გარკვეული ვალდებულებები აკავშირებს საკუთარი პარტიისადმი. მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ დღეს საქართველოში ქალაქების მერები ვერ ახდენენ საკუთარი თავის გაიგივებას ამომრჩევლებთან და პრობლემებს არ აღიქვამენ ძირითად კონტექსტში. შესაბამისად, უმეტესი მათგანის საქმიანობა და აზროვნება დამოკიდებულია ცენტრალურ ხელისუფლებასა და მმართველ პოლიტიკურ ელიტაზე, მათ იდეებსა და განსახორციელებელ მიზნებზე. სწორედ ამიტომ მოქალაქეებში უფრო მეტად გაიზარდა სკეპტიციზმი და ნიჰილიზმი მერის მიმართ.

მერი არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი. მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად. ისტორიულად, ფოთს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პარტიების თუ სოციალური ფენის წარმომადგენლები მართავდნენ. მაგალითად, საბჭოთა კავშირის დროს ე.წ. საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში შემოდის მერის ინსტიტუტი, როგორც ევროპული ადმინისტრაციული და პოლიტიკური მმართველობის ტრადიცია.

ამ ფონზე ძალიან მნიშვნელოვანია, რა ცვლილებების განხორციელება მოხდა ფოთის ისტორიაში. ყველა პარტია, მოქმედი მერები, კანდიდატები ერთხმად აღიარებდნენ და აცხადებდნენ ფოთის მნიშვნელობაზე, ინდივიდუალიზმზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე, თუ

ტურისტულ პოტენციალზე. თუმცა, რეალურად ძირეული და მნიშვნელოვანი პრობლემების, საკიხების მოგვარება რატომღაც ვერც ერთმა მმართველმა მოახერხა, მით უმეტეს, როდესაც ქალაქის ისტორიაში 10 მერის სახელი ჩაიწერა.

საინტერესოა, რას ფიქრობს ამ ქალაქის მოსახლეობა, მათ ვკითხეთ, რომელი მერის მმართველობის პერიოდი იყო მათთვის დასამახსოვრებელი განხორციელებული საქმიანობებიდან? ასევე ვკითხეთ ახლად არჩეულ მერზე, რამდენად იცნობენ და ენდობიან მას. გამოკითხულთა უმრავლესობამ უარყოფითად შეაფასა რამდენიმე ყოფილი მერის საქმიანობა. გაიხსენეს დავით ქანთარიას, ვანო სადინაძის და ვახტანგ ლემონჯავას მმართველობის პერიოდები. თინა თითმერიამ როგორც აღნიშნა, ვახტანგ ლემონჯავამ ბევრი რამ გააკეთა ქალაქისთვის. მას არც ქალაქში ავტოფარეხების დემონტაჟი დავიწყებია, თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ ზოგი ავტოფარეხის განლაგება ნამდვილად უსახური იყო და ამახინჯებდა ქალაქის იერ-სახეს. ხსენებული ქალბატონისგან განსხვავებით, გამოკითხულთა უმრავლესობა ლემონჯავას მერობის პერიოდს ძალიან ცუდად იხსენებს. მათი თქმით ლემონჯავას არაფერი გაუკეთებია ქალაქისთვის გარდა ფარეხების დანგრევისა. ამის გამო ყოფილ მერს ფარეხებდამანგრეველის სტატუსიც მიანიჭეს ენამოსწრებულმა ფოთელებმა. გამოკითხულთაგან ბევრმა ქანთარიას მერობის პერიოდი ქალაქში იმ პერიოდში არსებულ სისუფთავესთან გაიგივა. მათი განმარტებით, ქანთარია სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებს აიძულებდა ყოველ კვირა დაესუფთავებინათ და გაეჩეხათ ტყეპარკი ნაგვისაგან და ეკალ-ბარდებისაგან. მას ამის გამო “პოლიეთილენის პარკების მტერი“ უწოდეს.

გამოკითხულთა უმრავლესობამ ვანო სადინაძის მერობის პერიოდი დაკარგულ წლებად მოიხსენია და “უმოქმედობის ხანა” უწოდა. გამოკითხულთაგან ბევრმა მხოლოდ ქართული ოცნების აწ უკვე ყოფილი მერის ირაკლი კაკულიას მისამართით გააკეთა მწვავე კომენტარები. როგორც აღნიშნეს, მიუხედავად უამრავი დაპირებისა, კაკულიას წლების განმავლობაში არაფერი გაუკეთებია ქალაქისთვის. მისი მერობის პერიოდი გამოირჩევა შეჩერებული მშენებლობებისა და პროექტების პერიოდად. ოთხი წლის განმავლობაში რაც პროექტი დაიწყო, არც ერთი არ დასრულებულა - ან შეჩერდა, ან მეტიც, არც დაწყებულა. მისი მმართველობის პერიოდს „დაწყებულ- დაუსრულებელი“ უწოდეს.

რაც შეეხება ახალარჩეულ მერს გოჩა კურდღელიას, გამოკითხულთაგან ბევრმა დადებით პიროვნებად შეაფასა და ურჩიეს ბევრი გააკეთოს ქალაქის და მოსახლეობის საკეთილდღეოდ, რათა ზედმეტსახელი და ცუდი “მოსაგონარი” არ დატოვოს საარჩევნო პერიოდის დამთავრების შემდეგ.

ზამთრის სამზადისი ბაღებში

თეკლა მაჭკავა
ფოთი

ზამთრის მოახლოებასთან ერთად დავინტერესდით ფოთში რამდენად მზად არის საბავშვო ბაღები ცივი და სუსხიანი დღეების შესახვედრად, მითუმეტეს იმის ფონზე, რომ წელს, გასულ წლებთან შედარებით, ძალიან მკაცრი და ცივი ზამთარი გველის.

ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრეთ, ფოთის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელს მარგო ჯანიაშვილს, მისი მტკიცებით ფოთის 15-ვე საბავშვო ბაღი მომზადებული ხვდება ზამთარს: „საბავშვო ბაღებში ცენტრალური გათბობა, სადაც არის დამონტაჟებული შევამოწმეთ, ასევე შევაკეთეთ მილები, ერთ მთლიანობაში მოვაქციეთ საძირკველიდან სახურავამდე ავიყვანეთ. შევიძინეთ შეშის ღუმელები, რადგან ყველა ბაღში არ არის ცენტრალური გათბობა. აგვისტოს თვეში ბაღების გაერთიანებამ წინასწარ დაიჭირა თადარიგი და მოემზადა ზამთრის დადგომამდე. შეიძინა 1 საჟენი, 10-10 კუბი შეშა თითოეული ბაღისათვის, ნოემბრის თვეშიც ვგეგმამვთ მე-13-ე საბავშვო ბაღში შევიტანოთ შეშა, რადგან დეკემბრის თვეც უზრუნველყოფილი იქნეს გათბობით“. როგორც გავარკვიეთ ზამთრის სეზონისთვის გასათბობად ბაღების გაერთიანება შეშის შესაძენად 60 000 ლარს გამოყოფს. ქალაქის მასშტაბით ზოგიერთ ბაღში არის დანერგილი ცენტრალური გათბობის სისტემა, ჯანიაშვილის თქმით „ №3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია განახორციელა იაპონიის საელჩომ, რომელშიც სტანდარტებით გათვალისწინებული იყო ცენტრალური გათბობა, ასევე №7 საბავშვო ბაღი რეგიონალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით არის რეაბილიტირებული. №13 -ე საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას, გათვლილი იყო ცენტრალური გათბობა, მიაყენეს რადიატორები, მაგრამ სამუშაო პროცესში მწყობრიდან გამოვიდა ბოილერი, ვეცდებით რომ გავაკეთოთ და რომელიც ასევე არის გათვალისწინებული გაზიფიცირებაში, ასე რომ 2018-2019 წლებში სრულიად მოხდება ბაღების ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფა, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ამ პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა შეადგენს 400 000 ლარს. გაერთიანებას წლიურად 120 000 ლარის გაღება მოუწევს ცენტრალური გათბობის შემთხვევაში. ადგილობრივი ხელისუფლების და მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ხახუბიას, ურთიერთთანამშრომლობით შედგა პროექტი რომელიც 2018 წლისთვის ითვალისწინებს მთლიან გაზიფიცირებას ბაღებში”.

როგორც გაერთიანების ხელმძღვანელმა გვითხრა ამ ეტაპისთვის ყველა ბაღში არის ჩართული გათბობა, დანთებულია შეშის ღუმელები. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ვერ ხდება შეშის ღუმელის დანთება ქარის ან გაუმართავი საკვამური მილების გამო. ჯანიაშვილის თქმით: „მათ ვთავაზობთ ელექტრო ღუმელის შეძენას, რომელსაც გაერთიანება შეიძენს. მთავარი არის, რომ სითბო შენარჩუნებული იყოს ბაღებში, რადგან აუცილებელია ბავშვი კომფორტულად გრძნობდეს თავს. ყინვის შემთხვევაში მთელი დღის მანძილზე არის ჩართული გათბობა,როდესაც აცივდება და საათამაშო ოთახში შეუძლებელია გაჩერება, ხდება ავტომატურად ოთახების გათბობა. სტანდარტით გათვალისწინებული არის რომ დაახლოებით პლიუს 23-24 გრადუსი უნდა იყოს სათამაშო ოთახში და საძინებელში +20 გრადუსი. საძინებელში ცენტრალური გათბობის შემთხვევაში ხდება გათბობა, იმ შემთხვევაში თუ შეშის ღუმელით თბება ბაღი, მშობლების თხოვნით ბავშვებს არ ვაძინებთ, რადგან ვითვალისწინებთ მათ შიშებს, რომ შეიძლება ბავშვი გაცივდეს. ცენტრალური გათბობის შემთხვევაში მათ არ ექნებათ მიზეზი იმისა რომ არ დავაძინოთ ბავშვები“.

კაცაძის ქუჩაზე მცხოვრები ორი ოჯახი დახმარებას ითხოვს

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ფოთში კაცაძის ქუჩაზე მდებარეობს ერთი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ორი ოჯახი ცხოვრობს. სახლი მთლიანად ამორტიზებულია, მხოლოდ ის ადგილიღაა დარჩენილი, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, ორი ოჯახი ყოველდღე სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში აგრძელებს ცხოვრებას, რადგან არსად წასასვლელი არ აქვთ. როგორც იქაურები ამბობენ, სახლი არა მარტო იქ მაცხოვრებლებისთვის წარმოადგენს საფრთხეს, არამედ ქუჩაში გამვლელთათვისაც. აქ ხშირად შემოდიან ბავშვები სათამაშოდ და რადგან სახლი ზღვის პირასაა, დამსვენებლები იყენებენ მას გასახდელადაც. არადა, სახლის დარჩენილი ნაწილის ჩამონგრევის საშიშროება არსებობს და უბედური შემთხვევაც გამორიცხული არ არის.

ამ სახლის შესახებ ჩვენი გაზეთი წინათაც წერდა და ამჟამად საქმე გაცილებით ცუდადაა და შენობის მდგომარეობაც უფრო სავალალოა. შტორმმა და ქარმა სახლი მთლიანად დაანგრია. სახლს, უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა ნანგრევებს არ გააჩნია სახურავი, გარდა იმ ადგილისა, რაც მოსახლეებმა საკუთარი ძალებით შეაკეთეს. არც იატაკი არსებობს. გასულ წელს იატაკის ჩანგრევის გამო გეგეჭკორების 14 წლის შვილი დაშავდა.

კაცაძის ქუჩაზე ხის მასალისგან აშენებული ექვსი საცხოვრებელი კორპუსი დგას. რამდენიმე წლის წინ ხუთ მათგანს რემონტი ჩაუტარეს, ზემოხსენებულ სახლს კი არ დაადგა საშველი იმიტომ, რომ უკვე მაშინ იგი რემონტსაც არ ექვემდებარებოდა.

აღნიშნულ სახლში მიქაძეების ორსულიანი და გეგეჭკორების სამსულიანი ოჯახები უკვე 30 წელზე მეტია ცხოვრობს. აქედან 20 წელია სახლი ამორტიზებულია. სახლის მაცხოვრებლები ყველა ადგილობრივ ხელისუფლებას ერთსა და იმავე მოთხოვნას უყენებენ - დააკმაყოფილონ საცხოვრებლად ვარგისი ბინებით ან გადაუხადონ კომპენსაცია.

მიქაძეების ოჯახს ბინა პრივატიზებული აქვს. გეგეჭკორის ოჯახმა, სახლის ყიდვა კი მოახერხეს, მაგრამ საკუთრებაში არ აქვთ, რადგან სახლის ყოფილი მეპატრონე, რუსი ქალი, თანხის აღებისთანავე სამშობლოში დაბრუნდა, და სახლი ახალ მესაკუთრეებს არ გადაუფორმა.

ჩვენი ჟურნალისტების გამოჩენას მობინადრეები დიდი აგრესიით შეხვდნენ: "თითქოს ექსკურსიაზე დადიოდეთ. მოხვალთ, დაათვალიერებთ, წახვალთ, მერე ჩვენ რა შედეგი გვაქვს ამით? სახლი ნელ-ნელა თავზე გვენგრევა და შიგ მოყოლის საშიშროების ქვეშ ვართ ყველანი. ძილი დაგვეკარგა შიშით და მოსვენება. ამდენი წელია, ვიძახით და კაციშვილს ვერაფერი გავაგებინეთ. წინა არჩევნებზე ბესელიამაც აფრქვია ბრტყელ-ბრტყელი დაპირებები, მაგრამ დამთავრდა ამით. არჩევნების დროს გავახსენდებით ხოლმე პოლიტიკოსებს, როცა თითო ხმაც საჭიროა. მერე კი ვინ ხარ, ვის ჭირდები"- ხმამაღალი ტონით გვითხრეს განერვიულებულმა ქალბატონებმა და კარები ცხვირწინ მოგვიხურეს. როგორც გავიგეთ, აღნიშნული კორპუსი ფრიად "პოპულარული" ყოფილა და მნახველ-დამსურათებლებიც მრავლად ყოლია.

როგორც გავარკვიეთ, მდგომარეობას ადგილზე გაეცნო ჯანდაცვისა და სოცდაცვის სამსახურის უფროსი მაია მაკალათია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მობინადრეებს ბინების დაქირავება ურჩია და 6 თვის ქირის გადასახადის გადახდას დაპირდა, რაც მობინადრეებისთვის არახელსაყრელი აღმოჩნდა, რადგან 6 თვის შემდეგ, როგორც თქვეს, შესაძლოა, ისევ ქუჩაში დარჩნენ. როგორც თამარ მიქაძე ამბობს: "ექვსი თვის მერე სად უნდა წავიდე? ეს ჩემი საკუთრებაა და ქირით რატომ უნდა ვიცხოვრო, ან მაქვს ქირის გადასახდელი, რატომ არ კითხულობენ? ან ის ექვსი თვე გადამიხდიან, ამის გარანტიაც არ მაქვს. გვითხრეს, 6 თვის მერე რამეს მოგიხერხებთო. იმდენი დაპირება მაქვს მოსმენილი, ნახევარიც რო აესრულებინათ, რა გვიჭირდა. ხუთოთახიანი ბინა მქონდა და ორ პატარა ოთახში ვარ ამჟამად".

დალი გეგეჭკორმაც დაადასტურა, რომ ასეთი შეთავაზება არსებობს, მაგრამ მეზობელივით ისიც სკეპტიკურადაა განწყობილი. "გვითხრეს, ნაბადაში, სადაც მესაზღვრეები არიან და დევნილები იყვნენ ადრე ჩასახლებული, საცხოვრებელ ფართს მოგცემთო. კარ-ფანჯარა აქვს და იატაკზე ლინოლეუმს დაგიგებთო. არ მინახავს არ ვიცი რა ბინაა და ვერაფერს ვიტყვი."

მაია მაკალათია როგორც ამბობს, მუნიციპალიტეტს მხოლოდ იმის შესაძლებლობა აქვს, რომ ასეთ სიტუაციაში მყოფ მოქალაქეებს 6 თვით დაუქირავოს ბინა: "უნდა გითხრათ, რომ ბევრი მოქალაქეა ასეთ რთულ მდგომარეობაში. ისეთებიც არიან, საერთოდ რომ არ აქვთ თავშესაფარი. მაკალათიამ საუბარში ისიც აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ადგილობრივმა მთავრობამ გასულ წელსაც განიხილა ეს საკითხი და განხილვას აღნიშნული ბინის მობინადრეეებიც ესწრებოდნენ და 6 თვიანი ქირის გადახდის სხვაგან ცხოვრებაზე მაშინაც უარი განაცხადეს. პირადი საუბრიდან გავიგე, რომ მათ გარანტიები უნდოდათ. ხელშეკრულების გაფორმება თავისთავად გარანტიას არ ნიშნავს? ექვსი თვის შემდეგ რამეს მოვიფიქრებდით. მათ ნაბადაში ვთავაზობთ ბინებს. კარიც აქვს ბინებს და მეტალოპლასტმასის ფანჯარა. იატაკზე ლინოლეუმია დასაგები და ამასაც გავაკეთებთ. ქირით გადასვლა რომ შევთავაზე დალი გეგეჭკორმა მითხრა: „ამდენ გადასვლა-გადმოსვლაში კარადა დამეშლებაო. ვნახე ის კარადაც - ძველი, შეკეთებული კარადაა. მართალია, ალბათ მისთვის ძვირფასია, მაგრამ მათი სიცოცხლე გაცილებით ძვირფასია. პირველადი მოხმარების საგნებს კი მათ კრიზისული ცენტრი გადასცემს".

ექვსთვიან ქირის გადასახადზე მიქაძეები სასტიკი წინააღმდეგები არიან. ტრისტან მიქაძე 5 ოთახიანი ბინის შემდეგ 6 თვიანი შეღავათით ანუ ქირის გადახდით უკმაყოფილოა: "5 ოთახიანი ბინა მქონდა და რაში მაწყობს 6 თვის ქირა? მერე რა ვქნა? თავშესაფრის გარეშე დავრჩე? რეესტრში გატარებული საკუთარი ბინა მქონდა. ან ბინით დამაკმაყოფილონ ან ფული მომცენ. არც მიგდებულ ადგილას გადავალ. არის კიდევ სხვა გამოსავალი- ჩემი კუთვნილი 5 ოთახიდან ნახევარზე მეტი მონგრეულია, მაგრამ სანიშნეებია დარჩენილი. მათ ადგილზე საკუთარი სახსრებით ავაშენებ ოთახებს, რამდენიმე წლის წინ მივმართე მერიას და მითხრეს, ეს კერძო საკუთრებაა და ქირის გარდა ვერაფრით დაგაკმაყოფილებთო. ჩვენს ქალაქს არც ისე უჭირს, ორი ოჯახი ვერ დააკმაყოფილოს".

ორივე მაცხოვრებელი სოციალურად დაუცველია. თუმცა ქულები მაინც მაღალია ისე, რომ ჯანდაცვის უფროსსაც კი გაუკვირდა: "იქ, სადაც არც ჭერია არც იატაკი, და კედლებიდან გარე პერიმეტრის დანახვა შეიძლება,ასეთი მაღალი ქულები გასაკვირია. სახელმწიფომ ნამდვილად უნდა შეცვალოს რაღაც და უფრო მორგებული სისტემა შექმნას. დახმარებას დახმარება უნდა დაერქვას". დანგრეულ ბინებში მცხოვრებთ დღეისათვის 50 ლარიანი დახმარება ეძლევათ. დალი გეგეჭკორს ადრე 160 ლარიანი დახმარება ქონია და 100 ლარამდე დაუყვანიათ. როგორც ამბობს, ქულების მომატება და დახმარების დაკლება მისი შვილის "ბევრილში" მცირეხნიან მუშაობას უკავშირდება.

მალთაყვის გრანდიოზულ პროექტზე, საკურორტო ზონის განვითარებაზე მარტო საუბარი როდი კმარა. სწორედ ზღვის პირას დგას ეს დანგრეულ-გაპარტახებული შენობა, რომელსაც ზღვაზე დასვენების მოყვარული ტურისტ-დამსვენებლები პლაჟის მოუწყობლობის გამო, ხან საპირპარეშოდ, ხანაც გასახდელად იყენებენ. იმედია, ხელისუფლება და მობინადრეები შეთანხმდებიან და ურმის გადაბრუნებამდე გზას გამოძებნიან.

წერილი რედაქციას

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი

ეს ბრძნული ანდაზა გამახსენდა 2012 წლის მიწურულს, როდესაც ფოთში, ვაგზლის მოედანზე აღმოვჩნდი და თვალი ვკიდე წვრილ მილზე წამოსკუპულ კუბის ფორმის საათს, რომელიც შემოესაზღვრათ საბჭოთა პერიოდში გავრცელებული ბავშვების დასაბანი ვარცლის კონფიგურაციის ბეტონის ზღუდარით, მიწით შეევსოთ იგი და ძვირფასი ქვით მოეპირკეთებინათ ისეთით, როგორითაც აპირკეთებდნენ ლენინის ძეგლებსა და პრესტიჟული მეტროს სადგურების ინტერიერებს. საათის „კვარცხლბეკს“ 2 ადამიანი დასტრიალებდა და წმენდნენ ტალახიანი შხეფებისაგან, ძვირფასი მოპირკეთების კარგად გამოსაჩენად, ანუ დაწესებულ პროცედურას ასრულებდნენ ნაწვიმარზე.

აღწერილი კომპოზიციის გარშემო დიდი სივრცეა, ციფერბლატი ძნელად იკითხება, საათი კი ისე გამოიყურება, როგორც თავკომბალა და ისევე უსარგებლოა დღეს,როგორც მაშინ,როდესაც გაჩერებული იყო და მთელი 2 წლის განმავლობაში არავის გახსენებია მისი შეკეთება. სხვაგვარად გადაწყვიტეს თბილისსა და ბათუმში, სადაც ზუსტად ასეთი საათები გზაჯვარედინზე, ტროტუარზე, გადასასვლელთან დააყენეს, ანუ იქ, სადაც უნდა იდგეს ეს საათი. ნაცნობ არქიტექტორებს რომ ვკითხე, საათს ადგილი „უფროსობამ“ შეურჩიაო, ანუ ქალაქის მერმა, ფოთის სინამდვილეში ნაციონალური მოძრაობის უკანასკნელმა დიდმოხელემ.

ერთ დღეს ნავსადგურის სამმართველოსთან ჩავიარე, იქ ბანკის წინ შუა მოედანზე პალმა მეგულებოდა გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს მოღვაწე ქალაქის ხელმძღვანელის ინიციატივით დარგული, ეკზოტიკური მცენარისადმი სიყვარულით, თუმცა ავტოტრანსპორტის უსაფრთხოდ მოძრაობის ნორმების უგულებელყოფით. პალმა გაზრდილა, ნიკო ნიკოლაძის ძეგლს ეფარებოდა და გადაურგავთ, მის ნაცვლად კი ღუზა დაუბრძანებიათ, ნიკოლაძის ძეგლის ღერძზე, მის უშუალო სიახლოვეს. ეს ღუზა კარგა ხანს ნავსადგურის სარემონტოს სახელოსნოში ეგდო, ქალაქის ახალმა „უფროსობამ“ კი 21-ე საუკუნეში 2010 წელს ადგილი შუა ქუჩაში მიუჩინა, ფოთის საზღვაო ქალაქი რომ არის იმის მისანიშნებლად. ფოთი სამხრეთ კავკასიის კარიბჭეს რომ წარმოადგენს ყველასათვის ცნობილია, შინაც და გარეთაც. ღუზა კი ხომალდის სამუხრუჭე სისტემის მხოლოდ ნაწილია და იქ, სადაც დღეს არის აღმართული, საკუთარ ძეგლს წარმოადგენს, მეტს არაფერს. არ ვარგა ღუზა შუა მოედანზე, არ არის იქ მისი ადგილი, არც განთავსების მოტივაციაა მოსაწონი. კიდევ კარგი, რომ იგი არ გავრცელდა სრულიად საქართველოში, თორემ ასეთი ლოგიკით, თელავში ან გურჯაანში გზაშესაყარზე, საწნახელი და ქვევრი უნდა გვეხილა, რუსთავში ურო და გრდემლი, ქუთაისში ჩამოწერილი ავტომობილის ძრავა, ხაშურში ვაგონის ბორბალი, ლესიჭინეში ურმის თვალი, ივანდიდში დიდი ძველი კარდანი, გორში გუთანი, შროშაში ლობიოს ქოთანი და ა.შ. ან კიდევ, ხომ შესაძლებელია ერთი ადამიანის თავში გაჩენილი ახირებული აზრი სხვამაც გაიზიაროს და იმ ღუზას გვერდით ან მის ნაცვლად ბრინჯაოს ხანის კოლხური ცული დააბრძანოს, რა თქმა უნდა „ხალხის მოთხოვნით“ (რა თქმა უნდა ასლი), რომლის დედანმა 20 წლის წინათ ქალაქ აგდეში ევროპელები „აღაფრთოვანა“, მაგრამ არ ივარგებს, რამეთუ სამუზეუმო ექსპონატი მუზეუმში უნდა იყოს გამოფენილი, ჯართი ჯართში ჩაბარებული, ურო და გრდემლი სამჭედლოში და არა გზაჯვარედინზე ან შუა ქუჩაში.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ღუზებისადმი სიმპატიები ფოთის „უფროსობაში“ ადრეც აღინიშნებოდა, რის შედეგად ქალაქმა ორღუზიანი გერბი მიიღო 2005 წელს, „მტრის ჯინზე“, რომელსაც ორთავიანი არწივი აქვს სახელმწიფო გერბზე, ფოთს კი ორი ღუზა გემის გარეშე. ეს გერბი მერიის სატიტულო ბლანკის „მარჯვენა მაღალ კუთხეშია“ განთავსებული, სახელმწიფო გერბის მოპირდაპირედ, რომელსაც მარცხენა კუთხე აქვს დათმობილი. კანონმდებლობით ეს არ არის აკრძალული, მაგრამ ფოთს არაფერში არგია, სახელმწიფოს სიმბოლიკას კი აკნინებს და მაშასადამე არც საქართველოს არგია.

წარსულს რომ გადავავლე გონების თვალი,გამახსენდა,რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ჯართში ჩაბარების ნაცვლად წყალქვეშა ფრთიანი ხომალდი „კომეტა“ რიონის არხში შემოიყვანეს და საწყლოსნოს სპორტული ბაზის გვერდით სპეციალურად მოწყობილ ხარიხაზე დადგეს და კაფე მოაწყვეს, უფრო ადრე კი, ნიკოლაძის ძეგლის უკან, რკინა-ბეტონისაგან აგებული არგონავტების ხომალდი „არგო“ განათავსეს და იქაც იგივე სახელწოდების კაფე გახსნეს.

1993 წელს ფოთის მერის მოადგილემ ქართული არქიტექტურული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელმა შოთა ყავლაშვილმა ამ ორივე ობიექტის, როგორც შეუფერებლების, აღება მოითხოვა, ლოგიკა მარტივი იყო: გემი ერთადერთი სატრანსპორტო საშუალებაა, რომელიც მხოლოდ წყალზე გადაადგილდება და არასოდეს ხმელეთზე არ ამოდის, ისევე, როგორც არასოდეს არ ჯდება მწყერი ხეზე. ელინურ ხანაში კი ხომალდებს ხის მასალისაგან აგებდნენ, ხოლო რკინა-ბეტონი გემთმშენებლობაში დღემდე არ გამოიყენება. „კომეტა“ იმთავითვე 1994 წელს ჩაბარდა ჯართს, ხოლო რკინა-ბეტონის „არგო“ უფრო გვიან, 2001 წელს იქნა აღებული. ამასწინათ, გაზეთში სათაური შევნიშნე: „კოსმოსიდან დანახული ფაზისი“ და უცებ ფოთის პარკში არსებული შადრევანი გამახსენდა, ფრიად უჩვეულო კონფიგურაციის, რომელიც ზემოდან ნამდვილად აღიქმება როგორც ოქროს საწმისი, ახლოდან კი მისი წამკითხველი, მე არ შემხვედრია. თუმცა კარგად მახსოვს, რომ პარკში შესასვლელის ღერძზე, სამშენებლო საქმის დიდოსტატის, ივანე ლაღიძის დაპროექტებული წრიული ფორმის შადრევანი იყო, რომელიც მორიგმა „უფროსობამ“ ფაქტობრივად რებუსით შეცვალა. გეომეტრიასთან და არქიტექტურასთანაც მწყრალად რომ იყო იმიტომ. ის „უფროსობა“ წავიდა, რებუსი დარჩა. მეორე შადრევანიც არსებობდა ფოთში, რომელსაც სწორი გეომეტრიული ფორმა გააჩნდა, თუმცა ადგილმდებარეობა შეუფერებლად ჰქონდა შერჩეული, წყლის პირი, ზედ გემმისადგომთან. მსგავს პრეცედენტს პრაქტიკაში ვერათუ ვერ იპოვით სადმე, სპეციალურ სახელმძღვანელოებშიც კი ვერ გადაეყრებით, როგორც განხილვის თემას, ამიტომ ის შადრევანიც ისევე გაქრა, როგორც ანტიკური ხანის „ხომალდის ძეგლი“, ზემოხსენებული რკინა-ბეტონის „არგო“. 2005 წელს ქალაქის პარკში კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა გაჩნდა. ძველი, მე-18 საუკუნის ზარბაზნის ლულა. არავინ იცის ვინ მოიტანა ის ლულა და რატომ გადაწყვიტა იმდროინდელმა „უფროსობამ“ ამ „ექსპონატის“ იქ გამწესება. უფრო ორიგინალური ხომ არ იქნებოდა „ჯართის მუზეუმის“ შექმნა. ეს რაც შეეხება ქალაქის გაფორმებასა და მცირე არქიტექტურულ ფორმებს. აქვე უპრიანია გავიხსენოთ მნიშვნელოვანი არქიტექტურული, ისტორიული ძეგლებისადმი უაღრესად უდიერი მოპყრობის ფაქტებიც. მაგალითად, საკათედრო ტაძრის თეატრად გადაკეთება 1936 წელს, როდესაც ამ უნიკალურ შენობას დიდი კიბე და ტრიბუნა მიაშენეს, გუმბათზე ჯერ გლობუსი, ომის შემდეგ კი მის ნაცვლად ვარსკვლავი დაამონტაჟეს, წინ ვრცელი მოედანი მოუწყვეს, სამაისო და საშვიდნოემბრო დემონსტრაციების ჩასატარებლად. სხვა დროს ეს მოედანი სრულიად უფუნქციო ტერიტორიად რჩებოდა. ლალისფერი ვარსკვლავი ნიკოლაძის კოშკზეც დაამონტაჟეს, რამდენიმე წლის შემდეგ კი აიღეს. ამავე რიგის მაგალითია არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის, გემთსაშენის კლუბის, ყოფილი უშიშროების, „მიქიაშვილების სახლის“ ისტორიული შენობების სრულ გაჩანაგებამდე მიყვანა, თანაც ტურიზმის განვითარების თაობაზე ქალაქის „უფროსობის“ დაუსრულებელი ყბედობის ფონზე.

ქალაქის სივრცით მოწყობაზე ძალმომრეობის ფაქტია მალთაყვის მემორიალისათვის ტერიტორიის ჩამოჭრა და იქ საცურაო აუზის მშენებლობის დაწყება, რომელიც იმ დროს მოქმედმა „უფროსობამ“ წამოიწყო, უშველა მემორიალს ხელისუფლების შეცვლამ, მაგრამ ტერიტორია დღემდე დაბრუნებული არ არის. იქაურობა კი მეტად დამთრგუნველ სურათს წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ყველა განხილულ შემთხვევაში, ყველა გზა „უფროსობისკენ“ მიდის, უფრო იმ „უფროსისაკენ“, რომელიც სხვების პროფესიული თუ სამსახურეობრივი ფუნქციების შეთავსებისადმი აღმოჩნდა მიდრეკილი, ასე ვთქვათ, გარდა იმისა, რომ „უფროსია“ ზოგადად, ამავდროულად „მთავარიც“ არის. იგი შეიძლება იყოს მთავარი არქიტექტორი, მთავარი მხატვარი, მთავარი დიზაინერი, მთავარი აგრონომი, მთავარი სცენარისტი, მთავარი ენერგეტიკოსი, მთავარი ისტორიკოსიც კი. როგორც ზემოთ განვიხილეთ, მან იცის სად დააყენოს საათი, რა დანიშნულებით გამოიყენოს მოსაპირკეთებელი ქვები, ჯართად ქცეული ღუზა და ზარბაზნის ლულა, როგორ გადაწყვიტოს ქალაქის სივრცითი მოწყობის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორ გადააკეთოს არქიტექტურული ძეგლები, ან სულაც, ადგილი უცვალოს მათ, რა კონფიგურაცია განუსაზღვროს შადრევანს და სად ააშენოს იგი. იცის რა მოუხდება ისტორიული შენობის გუმბათს ან თუნდაც რა უნდა დაერქვას მშობლიურ ქალაქს არსებული სახელის ნაცვლად. რაც უფრო მეტად ითავსებს „უფროსი“ დამატებით ფუნქციებს, მით ნაკლებად წარმატებულია მისი მოღვაწეობა. არქიტექტურას მეტად კონკრეტული, ლოგიკური და მკაცრი მოთხოვნები ამოძრავებს და მათი უგულვებელყოფა იწვევს ზემოაღწერილ შედეგებს, რასაც სახელად პროვინციალიზმი ჰქვია. მის დაძლევას კი, როგორც წესი, დამატებითი ფინანსური ხარჯები მოსდევს, ფოთს ამის მწარე გამოცდილება აქვს.

სივრცითი მოწყობის თემები მუდამ მოსახლეობის თვალწინ იშლება, ამიტომ მათ მიმართ საზოგადოების ინტერესი მუდამ მაღალია, რაც განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს აღმასრულებელ ხელისუფლებას. მალე მუნიციპალიტეტის მერის არჩევნები გაიმართება და ეს თემები სრულყოფილად უნდა გამოიკვეთოს, საჯარო გახდეს ამთავითვე, საარჩევნო პერიოდში. ამომრჩეველი შეიცვალა, უფრო მომთხოვნი გახდა, ამიტომ საარჩევნო მარათონში მონაწილეებმა რიტორიკას პასუხისმგებლობითა და სერიოზული ყურადღებით უნდა მოეკიდონ. არ უნდა დაუშვან ცნებათა და ტერმინთა აღრევა. საკუთარი ან პარტიული მოსაზრებები არ წარმოადგინონ როგორც „ხალხის მოთხოვნა“, მოერიდონ ფუჭ ფრაზეოლოგიას. იმედი ვიქონიოთ, რომ ფოთელ ამომრჩეველს მოარიდებენ ისეთ განცხადებებს, როგორიცაა: „ნიკოლაძის შემდეგ ფოთში არაფერი გაკეთებულა“, „ფოთიდან ბრენდს გავაკეთებ“, „ფოთს ფაზისს დავარქმევ“, „ფოთელებს ერთი სიყვარული აქვთ“, „ფოთელობა ხომ წოდებაა“, „ფოთისაგან ტურისტულ ცენტრს შევქმნი“, „ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად ბიუჯეტიდან თანხებს გამოვყოფ“ და სხვ. ამომრჩეველმა კი უნდა გააცნობიეროს, რომ საარჩევნო პერიოდში გაჟღერებული ყველა თემა, რომელიც არ იქნება იმავე პერიოდში გაპროტესტებული, ან ოპონირებული, მომავალში, დიდი ალბათობით „შეიფუთება“ როგორც „ხალხის მოთხოვნა“, ამიტომ ამომრჩეველმა მარტო იმაზე კი არ უნდა ილაპარაკოს რა უნდა, არამედ იმაზეც, რა არ უნდა მას. მისთვის არ უნდა იყოს სულერთი რას ააშენებს „უფროსობა“ არჩევნების შემდეგ: სამედიცინო დაწესებულებას თუ სპორტულ ობიექტს, კინოთეატრს თუ სანიაღვრე კანალიზაციას, ან ზღვის სანაპირო ზოლს გაამაგრებს თუ წესრიგში მოიყვანს რიონის არხს და გამწმენდ ნაგებობას. კულტურის ძეგლებს აღადგენს თუ მეტროპოლიტენის მშენებლობას შესთავაზებს საბაბად მერიაში მარკშეიდერის შტატის შემოღების მიზნით, ისევე როგორც ახლო წარსულში „ტურიზმის განვითარების მიზნით“ შესაბამისი სამსახურის შექმნა მავანთა დასასაქმებლად.

ხელისუფლებას ხალხი ირჩევს. ხელისუფლება კი ანგარიშვალდებულია არა ზოგადად ხალხის, არამედ კონკრეტული ამომრჩევლის წინაშე. თუ იგი აიცდენს „უფროსის“ სინდრომს, მისი მოღვაწეობის შეფასებისას ასევე აიცდენს იმ ანდაზას, რომელიც ამ პუბლიკაციის სათაურად გამოვიყენე.

ირაკლი მოწერელია
17.09.2017წ.

ფოთის საკრებულოს ახალი შემადგენლობა თვრამეტი, შვიდის წინააღმდეგ

დასაწყისი 2-გვ.

„ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოდან ”- ირაკლი კაკულია, ნინო ბაკურაძე, თამარ თოფურია, აკაკი დარჯანია, ხვიჩა ცხვიტარია, ზურაბ ჩიჩუა, ჯემალ მიგინეიშვილი და ბაქარ ერაგია. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან”- დავით ხომერიკი და დარეჯან ცხვიტარია, „ბაქრაძე, უგულავა -ევროპული საქართველო“- ვახტანგ დარცმელიძე, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი”- მაია ჩხარტიშვილი, „ლეიბორისტები“- მამუკა ხორავა, „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“- ოთარ ხარჩილავა და „შენების მოძრაობა“- იაგორ თავართქილაძე.

ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით საკრებულოში არსებული 10-ვე მანდატი მმართველი პარტიის კანდიდატებს ერგო:

დავით ესებუა, აპოლონი ბუჟალავა, თორნიკე შონია, დავით კვიციანი, ოლეგი ნაჭყებია, ბექა ვაჭარაძე, ზვიად დგებუაძე, თორნიკე კირთაძე, მალხაზ ფოჩხუა და სამსონ კუტალია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად საკრებულოში მანდატი 4 ქალ კანდიდატს ერგო. ეს წინა მოწვევის საკრებულოს ქალთა რაოდენობაზე ორით მეტია, თუმცა წელს საკრებულოს წევრების რაოდენობა 25-ამდე გაიზარდა. შესაბამისად ქალთა ხმა კვლავ მცირეა საკრებულოში. აღსანიშნავია, რომ არც ერთი მაჟორიტარი ქალი არ მოხვდა საკრებულოში.

წელს სხვა არჩევნებისგან განსხვავებით სამი მერობის ქალი კანდიდატი იყრიდა კენჭს, თუმცა, ფოთელებმა ქალი მერის არჩევის სურვილი არ გამოხატეს.

,,ჩხოროწყუობა 2017,,

მარიამ ჯავახია
ჩხოროწყუ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სახალხო ზეიმი „ჩხოროწყუობა –2017“ აღინიშნა. დღესასწაული სისტემატიურად 2013 წლიდან აღინიშნება.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მოსახლეობას სახალხო დღესასწაული მიულოცეს და მუნიციპალიტეტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის 9 „საპატიო ჩხოროწყუელი“ დააჯილდოვეს.

საპატიო ჩხოროწყუელი, მაშველი – ბესიკ გაბიანი გახდა, რომელმაც 2017 წლის 5 ივლისს, სტიქიის შედეგად ადიდებული მდინარე ხობისწყლიდან, 2 ადგილობრივი გამოიყვანა,ასევე,საპატიო ჩხოროწყუელის წოდება მიენიჭათ: თეონა ცირამუას,(გორის ქალთა კამერული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი, წარმოშობით ჩხოროწყუელი); ჯემალ შენგელიას, (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოღას საჯარო სკოლის დირექტორი); ნაპოლეონ ლემონჯავას,(ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთისა

და ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი, წარმოშობით ჩხოროწყუელი); ნუნუ ქებურიას, (კულტურის დამსახურებული თანამშრომელი, შრომის ვეტერანი, პენსიონერი); გურამ თოდუას, (ღვაწლმოსილი თანამშრომელი, შრომის ვეტერანი, პენსიონერი, ვეტერანთა რაიონული საზოგადოების თავმჯდომარე;) გერონტი მამფორიას (ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორი,მწვრთნელი;) გურამ მალანიას (მხატვარი, კულტურის დამსახურებული თანამშრომელი, შრომის ვეტერანი;) შაჰან თოდუას ,(განათლების სისტემის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, შრომის ვეტერანი, პენსიონერი);

ხელისუფლების წარმომადგენლებმა საზეიმო ვითარებაში გახსნეს სოფელ ხაბუმეში, (მოიდანახეს უბანი) ახალი საბავშვო ბაღი.

დილიდან მუნიციპალიტეტის ცენტრში გაიმართა სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიება. ჩატარდა კონცერტი ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით.

მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საკრებულომ, ადმინისტრაციულმა ერთეულებმა, სხვადასხვა ორგანიზაციამ, საჯარო სკოლებმა, საბავშვო ბაღებმა მეგრული ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული კუთხეები მოაწყვეს. წარმოდგენილი იყო მეგრული სამზარეულო.

ასევე, ღონისძიებაზე წარმოდგენილ იქნა ხელოვანთა ნამუშევარების გამოფენა-გაყიდვა.

სპორტული ღონისძიებები ჩატარდა ქართულ ჭიდაობაში, ჩოგბურთში, ბლიც ჭადრაკში, ქართულ ნარში . გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებით და ფულადი პრიზებით.

საზეიმო ღონისძიებებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე მუხრან შამათავა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, მუნიციპალიტეტის გამგებელი დათო გოგუა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ,რომლებმაც მოსახლეობასთან ერთად სახალხო სეირნობაში მიიღეს მონაწილეობა.

გაიმართა გალაკონცერტი გორის ქალთა კამერული გუნდისა და ანსამბლ „კავკასიონის“ მონაწილეობით.

„ჩხოროწყუობა –2017 ” გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

სპორტი

ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

4 ნოემბერს სამტრედიაში ჩატარდა ტრაგიკულად დაღუპული ირაკლი ჯოჯუას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი „თავისუფალ ჭიდაობაში” 2004-2006 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის, სადაც 12 წონით კატეგორიაში 20-მდე გუნდი იღებდა მონაწილეობას.

ტურნირზე ფოთელ სპორტსმენთა შედეგები ასეთია,მწვრთნელები ავთო კოპალიანი და მალხაზ კუხიანიძე.

I - ადგილი ბესო შენგელია - 29კგ.
II - ადგილი მალხაზ ხელაია - 29 კგ.
II - ადგილი ილის გოგატიშვილი - 32 კგ.
III - ადგილი მათე თუნთია - 23 კგ.
III - ადგილი ზვიად ჯალაღონია 38 კგ.

ფოთელი ნიჩბოსნების წარმატება

2-4 ნოემბერს აზერბაიჯანის ქალაქ მინგეჩაურში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრი პრეზიდენტ ალიევის თასზე, სადაც საქართველოს ნაკრებში მიწვეული იყვნენ ფოთელი ნიჩბოსნები - კანოე-კაიაკის ნიჩბოსნობის სკოლის სპორტსმენები გია გაბედავა და მარლენ გადელია. ფოთელმა ახალგაზრდებმა წარმატებით იასპარეზეს.

საერთაშორისო ტურნირის შედეგები ასეთია:
გია გაბედავა - I ადგილი - ჩ1 - 200 მ.
მარლენ გადელია - I ადგილი - 1 - 500 მ.



საბა ხვიჩავა ,,თბილისი მარათონის,, გამარჯვებულია

რამდენიმე დღის წინ, თბილისში გაიმართა საერთაშორისო მარათონი - „თბილისი მარათონი, სადაც ფოთელმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს.

საბა ხვიჩავამ 10 000 მ. დისტანციაზე სირბილში მოიპოვა II ადგილი.

ნინო მიქაძემ 21 კმ სირბილში IV ადგილი, ხოლო ასაკობრივში - I ადგილი დაიკავა.

გიგა ქვანიამ 10 000 მ. დისტანციაზე სირბილში ასაკობრივად II ადგილი მოიპოვა.

„თბილისი მარათონი-ს რჩეული გახდა საბა ხვიჩავა, რომელსაც „ჰაიდელბერგ ცემენტი” ფულად პრიზს გადასცემს.

მანანა გოგეჯიშვილის გახსენება

უკვე ერთი წელი გავიდა შენი მოულოდნელი გარდაცვალებიდან, მეხივით რომ დაგვატყდა თავს და აუტანელი ტკივილი მოგვიტანა.

როგორ გვენატრები, მანანა, როგორ გვაკლია შენი ენერგიული შემოძახება, დახმარება მხარდაჭერა, გვერდით დგომა, რასაც მუდამ ვგრძნობდით შენგან. არასოდეს იშურებდი სხვებისთვის გაგენანილებინა შენი უზარმაზარი კეთილი გულის სითბო და სიყვარული. ყველას ეფერებოდი. ადამიანები გიყვარდა. არავისთვის იშურებდი სიყვარულს. სიკეთის კეთება აღუწერელ სიამოვნებას განიჭებდა. როგორ გვაკლიხარ მანა...

როცა რამეს ვაკეთებ, ვფიქრობ, ნეტავ მანანა რას მირჩევდა. ისევ შენს დარიგებებს ვიხსენებ. ვფიქრობ, როგორ მოგეწონებოდა, რას ისურვებდი.

შვილიშვილის აღზრდაზე ოცნებობდი. არ დაგცალდა. მოულოდნელმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი.

გვენატრები მანა ძალიან...

ამბობენ, დრო მკურნალიაო. ჩვენი ტკივილი ვერ გააყუჩა დროის დინებამ. კვლავ ცრემლებით გიგონებთ. მანა განა სხვანაირად შეიძლება? არათუ ახლობლებს, ყველას ენატრები, ყველას აკლიხარ ვინც გიცნობდა, რადგან ყველას ახსოვს შენი სიკეთე და სიყვარული.

ერთი წელი გავიდა, აღარ გვყავხარ. ერთი მტკივნეული და უძნელესი წელინადი უშენოდ.

გვენატრები...

მხოლოდ შენი სპეტაკი სულისთვის ლოცვა შეგვიძლია, შენს საფლავზე მოსვლა და შენი საყვარელი ყვავილებით მისი გალამაზება.

გვიყვარხარ, გვენატრები და არასოდეს განელდება ეს მონატრება.

უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

მილოცვა



კახა ნიჟარაძე — კაცი! ქართული სუფრის აპოლოგი, ლაღი მასპინძელი, ღვინის დამგემოვნებელი, ჭაშნიკის უტყუარი მცოდნე!

კახა ნიჟარაძე —კაცი! რომელიც მთელი არსებით გამოხატავს შეხვედრით გამოწვეულ აღტაცებას!

კახა ნიჟარაძე კაცი! რომელიც აიდეალებს ოჯახს და მარად შეყვარებულია მის ერთადერთ და განუმეორებელ ალიონა კარტოზიაზე! გრძნობა რომელიც არ ინავლება და დრო ვერაფერს ვერ აკლებს! არჩეულებრივი მამა, ბაბუა და უბრალოდ...

კახა ნიჟარაძე! რომელსაც, დიდი ხანია მისი წილი ღირსება, პატივისცემა და ავტორიტეტი მოპოვებული აქვს შინ თუ გარეთ!!! გილოცავ საიუბილეო თარიღს!!

იდღეგრძელე მრავალჟამიერ!! მთელი ცხოვრება ჯერ ისევ წინაა!!!

პატივისცემით ირმა კეკელიძე

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს

სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე

იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაჟიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.